საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი შავლიაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

გიორგი შავლიაშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის გიორგი შავლიაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

<table>
<tr><th colspan="2">მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</th><th>კომენტარი</th></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td><td rowspan="3"><u>კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას,</u> კერძოდ:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე;

- სს „კრედიტინფო საქართველოს“ მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ;

- საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას;

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☒</td></tr>
</table>

		სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მონაცემებს შესაფასებელი მოსამართლის წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილ) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო - ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს თექვსმეტი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118-ე მუხლის მეორე ნაწილით, 125-ე მუხლის მე-6, 6^2 და მე-8 ნაწილებით, 125^2 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევები. საიდანაც ექვს შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას,

		მინიჭებული აქვს სტატუსი ვადაგასულია, ხოლო დანარჩენ ათ შემთხვევაში შეფარდებული ჯარიმა გადახდილია დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ზემოხსენებული მონაცემების, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი გამოირჩევა ერთგულებით, სამართლიანობით და პროფესიული კეთილსინდისიერებით. ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. გიორგი შავლიაშვილი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ დახასიათებულია დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და სამართლიან პიროვნებად, სამართლებრივი ამოცანების გადაწყვეტისას ყოველთვის ხელმძღვანელობს პრობლემების სამართლიანი და არაწინააღმდეგობრივი გადაწყვეტის პრინციპებით. გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი.

		3. პიროვნული და პროფესიული ქცევა წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი უაღრესად კორექტული, მშვიდი, გაწონასწორებული და მოწესრიგებული ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა თანმიმდევრულობას, გულახდილობას და ობიექტურობას. კანდიდატის ქცევას, პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. გამორჩეულად აღნიშნავენ, რომ გიორგი შავლიაშვილი როგორც სასამართლოში, ისე მის გარეთაც მკაცრად იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს და უფრთხილდება სასამართლოს იმიჯსა და ავტორიტეტს, აგრეთვე მას აქვს ქცევის მაღალი პროფესიული სტანდარტი. არსებული ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, გიორგი შავლიაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ არ გამოსულა. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება - შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს წესიერი, ერთგული, კორექტული პიროვნებისა და კვალიფიციური პროფესიონალის სახელით. რეკომენდატორები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ კანდიდატს აქვს კოლეგებსა და იურიდიულ წრეებში მაღალი რეპუტაცია.

		გიორგი შავლიაშვილი შესახებ ინტერნეტ სივრცეში სხვადასხვა სახის ინფორმაციაა ხელმისაწვდომი, მათ შორის მის მიერ განხილული საქმეების შესახებ. ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ სასურველი იქნებოდა უფრო მეტი მუშაობა საკითხის აკადემიური-სამეცნიერო სიღრმის კვლევის კუთხით. **5. ფინანსური ვალდებულება** მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, გიორგი შავლიაშვილს საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატმა დაუშვა თექვსმეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. საიდანაც შეფარდებული ჯარიმების ექვს შემთხვევაში, მინიჭებული აქვს სტატუსი ვადაგასულია, ხოლო დანარჩენ ათ შემთხვევაში დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები (ჯარიმები) გადახდილი აქვს კეთილსინდისიერად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის	**შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**	**კომენტარი**

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სამ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების/განაჩენის, ორ განსხვავებულ აზრის ანალიზს და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u> აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ გიორგი შავლიაშვილი ძალიან კარგად ფლობს საქართველოს სისხლი საპროცესო და მატერიალური სამართლის თეორიულ საფუძვლებს, ასევე საერთაშორისო ნორმებს. ის ზუსტად და სიღრმისეულად აღიქვამს გამოყენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და დანიშნულებას. წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში დასმული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრისას გამოყენებულია სამართლის ნორმათა განმარტების მეთოდები. აგრეთვე აღსანიშნავია, ის რომ წარმოდგენილ განსხვავებულ აზრში კანდიდატს, ნათლად და გარკვევით აქვს დასაბუთებული თუ რაში გამოიხატებოდა მისი განსხვავებული აზრი, დასაბუთების ნაწილში აგრეთვე მნიშვნელოვანია ის, რომ მოშველიებული აქვს სხვადასხვა საერთაშორისო გადაწყვეტილებები, რომლითაც იგი ამყარებს და დამაჯერებელს ხდის თავის განსხვავებულ აზრს. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი კარგად არის გათვითცნობიერებული და სიღრმისეულად ერკვევა არა მხოლოდ ეროვნული სასამართლოს, არამედ ზოგადად სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პრობლემურ საკითხებში. ის საკმაოდ ვრცლად, კონკრეტული საქმეებისა და ლიტერატურის

			მოშველიებით ასაბუთებს, წამოჭრის საკითხებს. აღნიშნულიდან გამომდინარე და მათ შორის გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატს გააჩნია სამართლის მთელი რიგი საკითხების მეცნიერული ცოდნა და საფუძვლიანად ერკვევა საერთაშორისო სამართალში. რეკომენდატორები და შემფასებლები აღნიშნავენ, რომ გიორგი შავლიაშვილს აქვს შიდა ეროვნული და უცხოური სამართლის ნორმების ცოდნა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი, რაც კარგად აისახება მის გადაწყვეტილებებში.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სამ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების/განაჩენის, ორ განსხვავებული აზრის ანალიზს და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> მიმაჩნია, რომ შესწავლილ გადაწყვეტილებებში და განსხვავებულ აზრში კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებულია დამაჯერებლად და დასაბუთებულია კვალიფიციურად. თვალსაჩინოა, რომ კანდიდატს მისი დასკვნები მოყვანილი ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს. წარმოდგენილი ნაშრომების ანალიზისა და გასაუბრების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების გათვალისწინებით შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს შეუძლია ცალკეულ სამართლებრივ საკითხზე არსებული სასამართლო პრაქტიკის, შიდასახელმწიფო და საერთაშორისო კანონმდებლობის სწორი შედარებითი და

			საგნობრივი ანალიზი, რაც მას აძლევს საშუალებას საკუთარი დასკვნის საფუძვლიანად და მყარად ჩამოყალიბებაში. გიორგი შავლიაშვილის პროფესიული გამოცდილება მოიცავს საერთო სასამართლოებში საქმიანობის 25 წელს, იგი ასევე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოწვეულ ლექტორად. გიორგი შავლიაშვილს გააჩნია 15 წლიანი სამოსამართლო საქმიანობის პრაქტიკა. 2010 წლიდან არის უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის მოსამართლე.
წერის უნარი	19	20	<u>წერის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ სამ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების/განაჩენის, ორ განსხვავებულ აზრის ანალიზს, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> კანდიდატის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა შესრულებულია გამართული ქართულით და იკითხება კარგად. მიუხედავად განხილული საკითხების სირთულისა, აზრი ნათლად და გარკვევით არის გადმოცემული. იურიდიული ტერმინოლოგია ბუნებრივად არის ჩართული საერთო ენობრივ კონტექსტში. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირები პოზიტიურად აფასებენ კანდიდატის წერის უნარებს, ამასთან რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ გიორგი შავლიაშვილს გააჩნია სწრაფი კონცენტრაციისა და სამართლებრივი პრობლემის გასაგებად ჩამოყალიბების უნარი, ასევე აქვს მაღალი აკადემიური

			წერისა და ვერბალური გადმოცემის უნარი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს. შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი, მობილიზებული და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. კანდიდატის მსჯელობა საინტერესო, თანმიმდევრული და ლოგიკურად გამართულია. მას შეუძლია დაიცვას საკუთარი პოზიცია კონსტრუქციული მსჯელობის ფარგლებში. ზოგადად, დატოვა მოწესრიგებული და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი გასაუბრების მიმდინარეობისას სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს მათ შორის სასამართლო პრაქტიკის ანალიზს გადმოსცემდა გასაგებად. კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარი პოზიტიურად აქვთ დახასიათებული რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს (2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით) რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს. უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური

			მონაცემების თანახმად: გიორგი შავლიაშვილს საანგარიშო 953 დღეში დასრულებული აქვს 1141 საქმე (დღეში საშუალოდ 1,2 საქმე), რაც მისი სამუშაო რეჟიმის ძალიან კარგ დატვირთულობაზე მეტყველებს. ამ პირობებში კანდიდატს აქვს საქმის განხილვის საერთო საპროცესო ვადის დაცვის (96.5%) ძალიან კარგი და გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვის (61.2%) კარგი მაჩვენებელი. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი ხარისხიანად ასრულებს სამოსამართლო უფლებამოსილებას. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი შავლიაშვილს გააჩნია სისხლის სამართლის მიმართულებით უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება, აღნიშნული მას საშუალებას აძლევს საქმის ყველა დეტალი და პრობლემა დროულად აღმოაჩინოს, გაიაზროს, შეაფასოს და მიიღოს ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება. მას გააჩნია ნორმატიული მასალის საუკეთესო ცოდნა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი მოპოვებულ ინფორმაციას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> გიორგი შავლიაშვილმა 2002 წელს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების ინფორმაციით გიორგი შავლიაშვილი აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა პროფესიულ სემინარებსა და სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებში.

			ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი მრავალმხრივ რეალიზებული პროფესიონალია.
პროფესიული აქტივობა	5	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u> კანდიდატი სამოსამართლო პრაქტიკის პარალელურად ახორციელებს უნივერსიტეტში პედაგოგიურ საქმიანობას იგი არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მიწვეული ლექტორი. გიორგი შავლიაშვილი ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად მონაწილეობდა სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე მოწყობილ შეხვედრებსა და სემინარებშიც (გავლილი აქვს 20 ტრენინგი).
ქულათა ჯამი	95	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 27.05.21

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი შავლიაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**93**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - გიორგი შავლიაშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - გიორგი შავლიაშვილი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.4. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

სახელი, გვარი: **გიორგი შავლიაშვილი**

ასაკი: **47 წლის**

დაბადების თარიღი: **11 აგვისტო, 1973 წ.**

განათლება: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **24 წელი**

სამუშაო ადგილი: **საქართველოს უზენაესი სასამართლო; სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე**

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით მოსამართლეობის კანდიდატის, გიორგი შავლიაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი

- კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის პიროვნული კეთილსინდისიერების, დამოუკიდებლობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის თაობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის სამართლიანობას, პატიოსნებას, თავმდაბლობას, პრინციპულობას, მაღალ პროფესიონალიზმს, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას, თავაზიანობას, კეთილსინდისიერებას და ა.შ.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

- გიორგი შავლიაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, ფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: ასკ-ის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილი („ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა"; ჯარიმა - 20 ლარი; 7 შემთხვევა; ვიდეოჯარიმა; ჯარიმები გადახდილია; შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის 6^2 ნაწილი („ მანევრირების წესების დარღვევა"; ჯარიმა - 50 ლარი; ვიდეოჯარიმა; ჯარიმა გადახდილია დროულად; შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილი („ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია" და „დგომა აკრძალულია" მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა"; ჯარიმა -10 ლარი; ვიდეოჯარიმა; ჯარიმა გადახდილია დროულად; შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი); ასკ-ის 118-ე მუხლის მეორე ნაწილი („იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც დადგენილი წესით არ გაუვლია პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება"; ჯარიმა -50 ლარი; 3 შემთხვევა; გადახდილია დროულად); ასკ-ის 125^2 მუხლი („დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევა", პ.1-„დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების ადგილას ავტოტრანსპორტის პარკირებისათვის თვითმმართველი ერთეულის მიერ დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე ავტოტრანსპორტის დგომა"; 2 შემთხვევა; ჯარიმა 10 ლარი, გადახდილია).

-

ჯარიმების რაოდენობის მიუხედავად, მათი გადახდის დროულობა არ მაძლევს საფუძველს, კანდიდატი მითითებულ მახასიათებელში შევაფასო უარყოფითად და ვთვლი, რომ **კეთილსინდისიერების მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.**

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების

დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად, კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გიორგი შავლიაშვილი აზრის გამოხატვის პროცესში არის ღია და გახსნილი. აქვს პიროვნული სიმყარე და შეუვალობა. არ განიცდის შიშს კრიტიკის მიმართ. აქვს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენების მიმართ არის მედეგი, რისი წარმოჩენაც მან ასევე შეძლო გასაუბრების პროცესში. აღნიშნულს ასევე ადასტურებს მისი მხრიდან საქმეებზე დაფიქსირებული განსხვავებული აზრი, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გიორგი შავლიაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, გიორგი შავლიაშვილი მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა.

- საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, გიორგი შავლიაშვილის მიმართ ინფორმაცია არ მოიპოვება.

კანდიდატი ყოველთვის იცავს სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებს, კოლეგებთან მიმართებაში არის კორექტული, თავდაჭერილი და აქვს საკუთარი ქცევის მართვის უნარი, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კანდიდატის სამართლიანობაზე, კეთილსინდისიერებაზე, კომპეტენტურობაზე, კოლეგიალურობაზე, პრინციპულობაზე და ა.შ., **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმების საფუძველზე გამოვლენილი არ იქნა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის ავტორიტეტი და რეპუტაცია. ამდენად, ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის, გიორგი შავლიაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

ჩემ მიერ შეფასებულ იქნა გიორგი შავლიაშვილის მონაწილეობით განხილული საქმეები, მათ შორის:

- საქმე №262ა3-17; 13.10.2017წ.
- საქმე №110ა3-19; 01.08.2019წ.
- საქმე №346ა3-19; 01.11.2019წ.

ასევე გავეცანი მის მიერ მომზადებულ განსხვავებულ აზრს საქმეებზე:
- საქმე № 113ა3-16; 02.11.2016წ.
- საქმე № 626ა3. -17; 29.03.2018წ.

ასევე გავაანალიზე გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები და მიმაჩნია, რომ გიორგი შავლიაშვილი ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმით, აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ღრმა ცოდნა. იგი ასევე კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს და სამოსამართლო საქმიანობაში იყენებს სწორად.

გასაუბრების ეტაპზე, კანდიდატმა შეჯიბრებითობის პრინციპის თაობაზე დასმულ შეკითხვაზე, ლოგიკურად და თანმიმდევრულად მიმოიხილა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, კანონმდებლობაში შესული ცვლილებები, ასევე ისაუბრა დაზრალებულის როლზე სისხლის სამართლის პროცესში.

თაღლითობისა და სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამიჯვნის თაობაზე დასმულ შეკითხვაზე, კანდიდატმა სიღრმისეულად განმარტა საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, მოიყვანა პრაქტიკული მაგალითები და საქმეები.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებით კანდიდატმა ფართოდ, თანიმდევრულად და სიღმისეულად მიმოიხილა მისი მნიშვნელობა.

კანდიდატმა ასევე დამაჯერებლად განმარტა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პრაქტიკული ასპექტები, ასევე სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებული საკითხები.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-13 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებულ შეკითხვაზე კანდიდატმა სწორად გასცა პასუხი, ასევე მიუთითა მის კავშირზე კონვენციის სხვა მუხლებთან და განიხილა ამ მიმართებით ევროსასამართლოს გადაწყვეტილებები.

კონვენციის მე-7 მუხლთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე კანდიდატმა აღნიშნული მუხლის განმარტების პარალელურად, საილუსტრაციოდ მოიყვანა ევროსასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება.

ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ კანდიდატი სრულყოფილად ფლობს არა მხოლოდ შიდა, ეროვნულ კანონმდებლობას, არამედ სიღრმისეულად ერკვევა ევროსასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, რისი ცოდნაც განსაკუთრებით ღირებულია ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაზე მისი მზარდი გავლენებიდან გამომდინარე.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 18 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

გიორგი შავლიაშვილს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 15 წლიანი გამოცდილება, რაც მიუთითებს მის მაღალ კვალიფიკაციაზე. კანდიდატის მიერ გადაწყვეტილებები ძირითადად მიღებულია დასაბუთების მაღალი სტანდარტის დაცვით, გადაწყვეტილებები შესაბამისობაშია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებთან, რაც მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 19 ქულით.

3. წერის უნარის მახასიათებელი

მითითებული მახასიათებლის შეფასების პროცესში გავეცანი წარმოდგენილ გადაწყვეტილებებს, განსხვავებულ აზრს და ვთვლი, რომ კანდიდატს გადაწყვეტილებები მიღებული აქვს დასაბუთებულობის სტანდარტის დაცვით, ასევე გადაწყვეტილებებში კანდიდატი ძირითადად ავითარებს ლოგიკურ მსჯელობებს, გადაწყვეტილებების დასაბუთება არის მწყობრი და სისტემური, ამასთან მარტივად აღქმადი. გადაწყვეტილებებში ძირითადად დაცულია პუნქტუაციისა და მართლწერის წესები.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 18 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

კანდიდატი აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად, პოზიციის დაფიქსირების პროცესში არის თავდაჯერებული, მშვიდი და კორექტული, გააჩნია მოსმენის მაღალი კულტურა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 15 ქულით.

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, გიორგი შავლიაშვილის მიერ განხილულ საქმეთა მაჩვენებელი შემდეგნაირია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა - ვადის დაცვით 96,5%, ვადის დარღვევით 3,5%;
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა - ვადის დაცვით 61,2%, ვადის

დარღვევით 38,8%

აღნიშნული ინფორმაცია ადასტურებს, რომ კანდიდატი სწორად ახორციელებს საქმეთა ნაკადის მართვას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში მარტო ახორციელებდა უფლებამოსილებას. ასევე, იგი პარალელურად აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტიპის ლექცია/სემინარებს და კითხულობს ლექციებს.

კანდიდატის მხრიდან მხარეებისა და პროცესის მონაწილეთა მიმართ უდიერი ან არაკორექტული დამოკიდებულება გამოვილენილი არ არის.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **15 ქულით.**

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ მიუხედავად საქმეთა სიმრავლისა, კანდიდატი აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგებს და სასწავლო კურსებს, მათ შორის - საერთაშორისო კონფერენციებს და სემინარებს. აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი.

კანდიდატს აკადემიური მიღწევები არ აქვს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **4 ქულით.**

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს არაერთ შეხვედრასა თუ დისკუსიაში. სამართლებრივი ნაშრომები გამოქვეყნებული არა აქვს, თუმცა კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **4 ქულით.**

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 93 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი შავლიაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	20	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	96	100

სახელი, გვარი: თამარ ღვამიჩავა

თარიღი: 28.05.2021.

თამარ ღვამიჩავა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის **გიორგი შავლიაშვილის** შეფასება.

2020 წლის 10 დეკემბერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატად დარეგისტრირდა 50 კანდიდატი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულების საფუძველზე.

გავეცანი კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც გასაცნობად წარედგინა საბჭოს თვითოეულ წევრს. ასევე მონაწილეობა მივიღე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **გიორგი შავლიაშვილის** საჯარო მოსმენაში, რომელიც გაიმართა **2021 წლის 12 მარტს.** იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს როგორც სამართლებრივი ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. საჯარო მოსმენის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერის ნახვა შესაძლებელია მითითებულ ლინკზე - https://www.youtube.com/watch?v=WHMoHTFcJe0

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი **გიორგი შავლიაშვილი** არის მოქმედი მოსამართლე, შესაბამისად მისი შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო გამოცილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის დადგენილი წესის საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **გიორგი შავლიაშვილის** კეთლსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას გავითვალისწინე ზემოაღნიშნული კრიტერიუმის მახასიათებლები. შესაბამისად კანდიდატი შეფასდა ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 მახასიათებლის მიხედვით და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე.

ასევე კანდიდატის შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ქულის დასაბუთებულობის საფუძველზე.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ.

კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი გახლავთ 47 წლის. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრის აკადემიური ხარისხი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 25 წელია, აქედან -სამოსამართლო საქმიანობას ახორციელებს 15 წელზე მეტია, კერძოდ: 2005-2010 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე (2006 წლიდან თავმჯდომარეც); 2010 წლის 18 ივნისიდან -არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე.
2006-2015 წლებში კანდიდატი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრიც.
რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის - სამართლიანობას, პატიოსნებას, თავმდაბლობას,პრინციპულობას, მაღალ პროფესიონალიზმს, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას,თავაზიანობას, კეთილსინდისიერებას და ა.შ. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ„სასურველი იქნებოდა უფრო მეტი მუშაობა აკადემიურ-სამეცნიერო სიღრმის კვლევისკუთხით".
გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობასიცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით კანდიდატი სრულად აკმაყოფილებსკეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტებიკანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატმა გიორგი შავლიაშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ პროფესიულ ღონისძიებებში:
- ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა - GIZ; 2010წ.;დუბროვნიკი, ხორვატია;- სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში - GIZ; 2011წ.დრეზდენი, გერმანია;
- მოსამართლეთა შერჩევის პროცესი - USAID; 2012წ.; ლვოვი, უკრაინა;
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია - წითელი ჯვრისსაერთაშორისო კომიტეტი; 2014წ.; სარაევო, ბოსნია ჰერცოგოვინა;
- შვედეთის სასამართლოებში ევროპული კონვენციის გამოყენებისა და სასამართლოადმინისტრირების საკითხები - შვედეთის ეროვნული სასამართლოების ადმინისტრაცია;2015წ.; სტოქჰოლმი, შვედეთი;
- სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან - GIZ; 2016წ.;ჰამბურგი, გერმანია;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - UNICEF; 2016წ.; თბილისი;
- ტრენერთა ტრენინგი ტრეფიკინგის თემაზე - ევროსაბჭო/იუსტიციის უმაღლესი სკოლა;თბილისი;
- ამერიკული სამართლის სკოლისა და ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლის ერთობლივიპროგრამა ბიზნეს სამართალში - ამერიკული სამართლის სკოლა და ჩიკაგო-კენტისსამართლის სკოლა; 2017-2018წ.წ.; თბილისი;
- საერთაშორისო კონფერენცია თემაზე ,,კონსტიტუცია და სახელმწიფოს მოდერნიზაცია" - ყაზახეთის უზენაესი სასამართლოს მხარდაჭერით; 2017წ.; ასტანა, ყაზახეთი;
- ანტიკორუფციული კურსი მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის - ILEA(სამართალდამცავთა საერთაშორისო აკადემია)/ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი; 2018წ;ბუდაპეშტი, უნგრეთი;

- ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სასამართლოს თავმჯდომარეთა მე-8 კონფერენცია-ლიეტუვას უზენაესი სასამართლოს მხარდაჭერით; 2018წ.; ვილნიუსი, ლიეტუვა;
- საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „უმაღლეს სასამართლოთა განსაკუთრებული როლიადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში" - ეუთო/უზბეკეთისრესპუბლიკის უზენაესი სასამართლო; 2019წ.; ტაშკენტი, უზბეკეთი;
- საერთაშორისო კონფერენცია ნარკოტიკების მოხმარებისთვის სისხლის სამართლებრივისანქციების გაუქმების შესახებ - ევროკავშირი; 2019წ.; ოდესა, უკრაინა;
- ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სასამართლოს თავმჯდომარეთა მე-9 კონფერენცია - სლოვაკეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მხარდაჭერით; 2019წ.; ბრატისლავა,სლოვაკეთი;
- ტესტის შექმნის მეთოდოლოგია - სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;2020წ.; თბილისი.

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:
- 2011 წლიდან არის ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. კურსები: პრაქტიკული კურსი სისხლის სამართლის პროცესში; საკასაციო განხილვის თავისებურებანი სისხლის სამართალში;
- 2015-2016 წლებში იყო გ.თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. კურსი - სასამართლო პროცესის ორგანიზაცია;
- 2015-2018 წლებში-იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოწვეული ლექტორი. თემები: ტრეფიკინგი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები(სისხლის სამართალი); 2019 წელს - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოწვეული ტრენერი. თემები: ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა; საქართველოს უზენაესისასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები (სისხლის სამართალი).

კანდიდატ გიორგი შავლიაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ აქვს; აქვს მიმდინარე სესხი (საკრედიტო ბარათი), აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატის საკუთრებაშია: 2 ბინა (144 კვ.მ. და 90 კვ.მ), ქ. თბილისში და მსუბუქიავტომანქანა.მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.
ბოლო სამი წლის განმავლობაში,გიორგი შავლიაშვილი რამდენჯერმე არის დაჯარიმებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად. მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.
კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად რაიმე საქმეში არ ყოფილა.
კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

გიორგი შავლიაშვილმა წარმოადგინა მის მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი რამდენიმე განაჩენი და 2 განსხვავებული აზრი.
2017 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე, მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის წარმოებაში არსებულ საკასაციო საჩივართა რაოდენობამ შეადგინა 947, საიდანაც 825 ცნობილ იქნა დაუშვებლად, 11 დატოვებული იქნა განუხილველად, 19 დატოვებული იქნა უცვლელად, 14 გაუქმდა; 76 -შეიცვალა; 1-შეწყდა; 1-დაბრუნდა ხელახლა განსახილველად;

ასევე, საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ წარმოებაში მიიღო 80 სხვა კატეგორიის საჩივარი, აგრეთვე განიხილა 114 საჩივარი - ახლად გამოვლენილ გარემოებათაგამო; მოსამართლეს 953 დღეში დასრულებული აქვს 1141 საქმე (დღეში საშუალოდ 1.2 საქმე).

- **კანდიდატ შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.**

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, რომ იგი ფინანსურ და სხვა მოქალაქეობრივ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები (მოძრაობის წესების დარღვევების თაობაზე) კანდიდატის მიერ გადახდილია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი. იგი გამოირჩევა პრინციპულობით, მედეგობით, სამართლიანობით, მიუკერძოებელობით, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კორექტული და თავდაჭერილია. ასევე, საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. შესაბამისად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

- **კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.**

-კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია - **სამართლის ნორმების ცოდნა.**

კანდიდატის საჯარო მოსმენის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხები იყო თანმიმდევრული, დასაბუთებული და ეფუძნებოდა სწორ სამართლებრივ შეფასებებს.

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და ასევე მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, კარგად იცნობს კანონმდებლობას, როგორც მატერიალურ ასევე პროცესუალურ ნორმებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. მოსამართლეობის კანდიდატი მის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას.

საჯარო გასაუბრებისას ნათლად წარმოჩინდა, რომ მოსამართლეს აქვს ჩამოყალიბებული ხედვა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ, რაც საგულისხმო და დასაბუთებულია.

შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული **სამართლის ნორმების ცოდნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **20 ქულით.**

-კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისათვის ვიხელმძღვანელე როგორც მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით, ასევე საჯარო მოსმენისას წარმოჩენილი ცოდნის დონით.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. დასაბუთებისას, მოსამართლე ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას, უსადაგებს კანონის შესაბამის ნორმას და უზრუნველყოფს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა კარგი ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი. ის, ძირითადად, დამაჯერებლად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას აზრთა სხვადასხვაობისა თუ თანხვედრობის შემთხვევაში. კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სამართლებრივ საკითხებზე. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული **სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **19 ქულით.**

-კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ მას გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობის უნარი. შესაბამისად, ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული **წერის უნარის** მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შეფასდა **18 ქულით.**

-საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, ის გამართულად და აუღელვებლად მეტყველებს. დასმულ საკითხთან დაკავშირებით აზრს გადმოსცემს დამაჯერებლად, ნათლად და გასაგებად. საუბრისას ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან გარემოებებზე. ასევე შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა. შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული **ზეპირი კომუნიკაციის უნარის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **14 ქულით.**

-კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე პიროვნება. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არის კორექტული, თავდაჭერილი, სასამართლო სხდომას უძღვება სათანადოდ, კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი, არის პრინციპული, მედეგი, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს.

შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - **პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში** შეფასდა **15 ქულით.**

-კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. მოპოვებული ინფორმაციით, კანდიდატს სამართლებრივ სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, რაც მიზნად ისახავს კვალიფიკაციის ამაღლებას და ცოდნის გაღრმავებას. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული **აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **5 ქულით.**

კანდიდატი ახორციელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, აქედან გამომდინარე იგი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული **პროფესიული აქტივობის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **5 ქულით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **გიორგი შავლიაშვილის** კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს **96 ქულას.**

1. სამართლის ნორმების ცოდნა - **20 ქულა**
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია -**19 ქულა**
3. წერის უნარი -**18 ქულა**
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - **14 ქულა**
5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - **15 ქულა**
6. აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის - **5 ქულა**
7. პროფესიული აქტივობა - **5 ქულა**

ქულათა ჯამი 96 ქულა

თარიღი: **28.05.2021 წ.**

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი შავლიაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: თამარ ონიანი

თარიღი: 27.05.2021

[illegible]

გიორგი შავლიაშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის დადგენილი მახასიათებლები: **1. <u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისი შეგნება. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, გიორგი შავლიაშვილი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, ის ჯეროვნად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის მასზე დაკისრებულია მცირე - 10 და 50 ლარის ოდენობით ჯარიმები, დაკისრებული ჯარიმები კი კანდიდატს
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		გადახდილი აქვს დროულად. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები გიორგი შავლიაშვილს ახასიათებენ დადებითად. მიუთითებენ მის კეთილსინდისიერებაზე, პატიოსნებაზე, თავმდაბლობაზე, პრინციპულობაზე, მაღალ პროფესიონალიზმსა და ა.შ. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ კანდიდატის პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო თავშეკავებული, კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს. **2. <u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა. რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელს, პრინციპულს, მიუკერძოებელს და სამართლიანს. კანდიდატი არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი/წევრი/შემომწირველი. მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

		კანდიდატის მიუკერძოებლობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ კანდიდატს სხვადასხვა საქმეზე დაწერილი აქვს რამდენიმე განსხვავებული აზრი. **3. <u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, თავდაჭერილობა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი შავლიაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. დაზარალებულად, ასევე, სამართლებრივ დავაში მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის თავმდაბალი და თავაზიანი. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. **4. <u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი. კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად, გამოარჩევენ კანდიდატის მაღალ პროფესიონალიზმს.

		კანდიდატი სხვადასხვა დროს ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას - კითხულობდა ლექციებს; მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრაში, რაც მის პიროვნულ რეპუტაციას დადებითად წარმოაჩენს. გიორგი შავლიაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. კერძოდ, მედიაში დაიწერა ინფორმაცია მისი საქმიანობის, ანაზღაურების, განხილული საქმეების შესახებ. მათ შორის არის გიგი უგულავას, რუსთავი 2-ის, გია გვიჩიანის, პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწის თემურ ბასილაიას, კორტების სპეცოპერაციის, დავით ოთხმეზურის, აიკ მელტონიანის , ტელეკომპანია „იმედის" საქმეები. გავრცელდა ჩანაწერის სტენოგრამა, სადაც სავარაუდოდ, მოსამართლე შავლიაშვილზეა საუბარი. ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია „აიკონია კაპიტალთან" დაკავშირებით ბრალდებებზე. **5. <u>ფინანსური ვალდებულებები</u>** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ, რათა შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი კანდიდატის ქონებრივი ინტერესის მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. მოძიებული ინფორმაციის გათვალისწინებით, გიორგი შავლიაშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. იმავე ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. შესაბამისად, ვფიქრობ, არ არსებობს მოსამართლის

			ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება, საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**19**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორე. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი კარგად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, განსაკუთრებით სისხლის სამართლის მიმართულებით. გასაუბრების მიმდინარეობისას გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის მაღალი დონე. სისხლის სამართლის სფეროს მიკუთვნებული თითოეული საკითხი კანდიდატმა განიხილა კვალიფიციურად და ამომწურავად. გასაუბრებისას კანდიდატი თავისუფლად და დამაჯერებლად მსჯელობდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, მოჰყავდა მნიშვნელოვანი მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან. ჩანს, რომ გიორგი შავლიაშვილი აქტიურად ეცნობა როგორც ქვეყნის შიდა

			სასამართლო პრაქტიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. აგრეთვე, აღსანიშნავია მის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ცოდნა. გიორგი შავლიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენისა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გათვალისწინებით კანდიდატი კარგად, მკაფიოდ და თანმიმდევრულად ავითარებს სამართლებრივ მსჯელობას სხვადასხვა საკითხზე. წარმოდგენილი დოკუმენტები არის სრულყოფილად დასაბუთებული. კარგად ჩანს, რომ მას საკითხი ესმის სიღრმისეულად, და შეუძლია თავისუფლად, დამაჯერებლად მსჯელობა. ასევე, დასაბუთების დროს იშველიებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოსა და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრეცედენტებს. მას აქვს ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. საკითხზე მსჯელობის დროს კანდიდატი აქცენტს აკეთებს კონსტიტუციურ პრინციპებზე და სრულყოფილად ავითარებს სამართლებრივ მსჯელობას.
წერის უნარი	19	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად

			გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გიორგი შავლიაშვილს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა. მისი მსჯელობა არის რაციონალური, ლოგიკური და თანმიმდევრული. მკითხველისთვის მისი აზრი და მსჯელობა არის მარტივად გასაგები.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი კარგად ფლობს ზეპირი კომუნიკაციის უნარს. მეტყველებს გამართულად და აზრს აყალიბებს თანმიმდევრულად. მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენისა და მისი მიმღეობის უნარი. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი მარტივი ენით საუბრობს და მსმენელისათვის მისი საუბარი არის გასაგები და მარტივი აღსაქმელი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება მისი პუნქტუალობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა. რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, პუნქტუალური და ა.შ. საქმის განხილვის საპროცესო ვადებს კანდიდატი იცავს სათანადოდ (96,5%), მის მიერ განხილულ საქმეებზე გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის

			მაჩვენებელი არის შესაბამისი (61,2%). საანგარიშო პერიოდში მოსამართლეს დასრულებული აქვს დღეში საშუალოდ 1,2 საქმე. კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია, რაც მისი მხრიდან სამოსამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად შესრულებასა და მხარეთა მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულების დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი შავლიაშვილი პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი და მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დგინდება, გიორგი შავლიაშვილი მონაწილეობდა სხვადასხვა სამართლებრივ ღონისძიებაში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რაც უსვამს ხაზს მის პროფესიონალიზმსა და სიახლეებისადმი ღიაობას.
პროფესიული აქტივობა	4	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და

			საზოგადოების წინაშე. გიორგი შავლიაშვილი ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გარდა აღნიშნულისა კანდიდატი პედაგოგურ საქმიანობას ეწეოდა სხვა უნივერსიტეტებშიც.
ქულათა ჯამი	91	100	

სახელი, გვარი: თამარ ონიანი

ხელმოწერა: [signature]

თარიღი: 27.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი შავლიაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	16	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29.05.21

გიორგი შავლიაშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - გიორგი შავლიაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით** უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - გიორგი შავლიაშვილის შეფასებისას აღსანიშნავია მის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში რესპოდენტებისა და რეკომენდატორების მოსაზრებები კანდიდატის შესახებ, სადაც ისინი მიუთითებენ კანდიდატის ისეთ თვისებებზე, როგორიცაა: სამართლიანობა, პატიოსნება, თავმდაბლობა, პრინციპულობა, მაღალი პროფესიონალიზმი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, თავაზიანობა, კეთილსინდისიერება და ა.შ. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ ,,სასურველი იქნებოდა უფრო მეტი მუშაობა აკადემიური-სამეცნიერო სიღრმის კვლევის კუთხით".
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებლით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი - გიორგი შავლიაშვილი არის პრინციპული და მიუკერძოებელი. გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის საჭირო პიროვნული და პროფესიული უნარები, კოლეგების აზრით, მოსამართლე იჩენს სათანადო სიმტკიცეს ყოველგვარი ზეგავლენის მიმართ. გიორგი შავლიაშვილი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. **პიროვნული და პროფესიული ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი - გიორგი შავლიაშვილი როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლე არის თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნება. კოლეგებს და სასამართლო პროცესის მონაწილეებს ეპყრობა თავაზიანად. კანდიდატის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის და სტრუქტურული ერთეულის- სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად გიორგი შავლიაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ქვედანაყოფის - სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატი მხარედ

		წარმოდგენილი არ ყოფილა. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი შავლიაშვილი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის კუთხით** შეფასებისას გათვალისწინებული იქნა მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში და უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი შავლიაშვილი მოსამართლე კოლეგებში სარგებლობს მაღალკვალიფიციური იურისტის სახელით. მას ახასიათებენ განათლებულ პიროვნებად, პრინციპულ და გულმოდგინე პროფესიონალად სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. **ფინანსური ვალდებულებების კუთხით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხები, დადებითი საკრედიტო ისტორიით, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ დეკლარაციასთან. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20	**სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის - გიორგი შავლიაშვილის მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების, აგრეთვე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ნორმების ცოდნის დონე არის მაღალი. გასაუბრებისას გიორგი შავლიაშვილი შეკითხვებს ძირითად პასუხობდა სწორად და სიღრმისეულად, თუმცა გამოვლინდა გარკვეული ხარვეზებიც კონკრეტული სამართლებრივი საკითხის შეფასების დროს. გიორგი შავლიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა 21.12.2002 წ.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა კონკურსის ფარგლებში წარმოადგინა მის მიერ გამოტანილი 3 სასამართლო გადაწყვეტილება და ორი განსხვავებული აზრი. გადაწყვეტილებები და კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ორი განსხვავებული აზრი დამაჯერებლად დასაბუთებულია. შესწავლილი გადაწყვეტილების დასაბუთებისას მოსამართლეს ყურადღების მიღმა (ანუ განუხილველად) არ აქვს დატოვებული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი

			გარემოებები და თანმდევი მტკიცებულებები. ფაქტობრივ გარემოებებს ადექვატური სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია) აქვს მიცემული. უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილებები ეფუძნება სამართლის არსებითად სწორ აღქმას.
წერის უნარი	16	20	**წერის უნარის კუთხით** შეფასებისას კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განსხვავებული აზრის გაცნობის შედეგად დავრწმუნდი, რომ მოსამართლე საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად. მისი წერილობითი მსჯელობა ლაკონური და ლოგიკურია. თუმცა გიორგი შავლიაშვილი იყენებს რთულ წინადადებებს, რაც ართულებს აზრის აღქმადობას.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	**ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით და მშვიდად. სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს გადმოსცემს ადექვატურად. ასევე გააჩნია სხვათა აზრის, მათ შორის, განსხვავებული აზრის მოთმინებით და ყურადღებით მოსმენის უნარი. მიმაჩნია, მის მიერ გამოთქმული ზეპირი მოსაზრებები გარშემომყოფთათვის ადვილად აღსაქმელია.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	**პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ გიორგი შავლიაშვილი როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლე და შესაბამისად, სამოსამართლო გამოცდილების მქონე,

			სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეებს ეპყრობა ერთგვაროვნად კორექტულად, სასამართლო პროცესს წარმართავს თავდაჯერებულად, მშვიდად და სამოსამართლო ეთიკის ნორმების სრული დაცვით. მხარეებს აძლევს მათი მოსაზრებების გამოთქმის თანაბარ შესაძლებლობებს, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ზედმიწევნით იცავს სხვადასხვა საპროცესო ეტაპისათვის დაწესებულ საპროცესო სპეციფიკას. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას აქვს მოსამართლის შესაფერისი იერსახე. რაც შეეხება კანდიდატის მიერ საპროცესო ვადების დაცვას, მის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის მონაცემები შემდეგია: - გიორგი შავლიაშვილის წარმოებაში არსებულ საკასაციო საჩივართა რაოდენობამ შეადგინა 947. საიდანაც 825 ცნობილი იქნა დაუშვებლად, 11 დატოვებული იქნა განუხილველად, 19 დატოვებული იქნა უცვლელად, 14 გაუქმდა. 76- შეიცვალა, 1- შეწყდა, 1- დაბრუნდა ხელახლა განსახილველად, - გარდა აღნიშნულისა საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ წარმოებაში მიიღო 80 სხვა კატეგორიის საჩივარი, აგრეთვე განიხილა 114 საჩივარი - ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. - თუ მოხდება მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების დღეების მისადაგება მის მიერ დასრულებულ ყველა კატეგორიის საქმეზე, მოსამართლეს 953 დღეში დასრულებული აქვს საშუალოდ 1141 საქმე, რაც შეადგენს დღეში საშუალოდ 1,2 საქმეს.

			- ასევე სტატისტიკასთან დაკავშირებით დამატებითი მონაცემები შემდეგია: საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით 96,5 % ვადის დარღვევით 3,5 %; გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით 61,2 %, ვადის დარღვევით 38,8 %
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი ღიაა სიახლეების მიმართ და ცდილობს პროფესიული და თეორიული საქმიანობის შეთავსებას, რაც დადებითი მახასიათებელია და თავისთავად მოწმობს იმას, რომ მოსამართლე დიდ ძალისხმევას ახმარს პროფესიულ თვითგანვითარებას. კანდიდატი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ, კანდიდატი 2011 წლიდან არის ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო 2015-2016 წლიდან გ. თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. 2015-2018 წლებში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოწვეული ლექტორი. 2019 წელს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოწვეული ტრენერი. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ბოლო პერიოდში იშვიათად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროექტებში.
პროფესიული აქტივობა	4	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი - გიორგი შავლიაშვილს

			აქტიურად აქვს მონაწილეობა მიღებული სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ. უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი შავლიაშვილი პედაგოგიურ საქმიანობას არ ახორციელებს.
ქულათა ჯამი	90	100	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი : 29.05.21

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი შავლიაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28. 05. 2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

გიორგი შავლიაშვილის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. გიორგი შავლიაშვილს კოლეგები ახასიათებენ როგორც კეთილსინდისიერ, სამართლებრივი კულტურისა და თვითშეგნების მქონე პიროვნებას. ერთ-ერთი რეკომენდატორის შეფასებით, კანდიდატი ყოველთვის მოქმედებს საქმისადმი ერთგულებისა და სამართლიანობის პრინციპით.

კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატს დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, გიორგი შავლიაშვილი შინაგანად დამოუკიდებელი, სამართლიანი და მიუკერძოებელი პიროვნებაა. ერთ-ერთი რეკომენდატორის თანახმად, კანდიდატი სამართლებრივი ამოცანის გადაწყვეტისას ყოველთვის ხელმძღვანელობს პრობლემის სამართლიანი და არაწინააღმდეგობრივი გადაწყვეტის პრინციპით.

გიორგი შავლიაშვილი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, გიორგი შავლიაშვილი როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ მკაცრად იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, უფრთხილდება სასამართლოს იმიჯსა და ავტორიტეტს. რეკომენდატორები მიუთითებენ კანდიდატის მაღალი პროფესიული ქცევის სტანდარტზე.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ გიორგი შავლიაშვილის მიმართ დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. იგი არ ყოფილა დაზარალებულად/მხარედ წარმოდგენილი.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, გიორგი შავლიაშვილი სარგებლობს მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით როგორც საუნივერსიტეტო, ასევე ზოგადად, პროფესიულ წრეებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

გიორგი შავლიაშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ ყოფილა გამოვლენილი კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამიტომ მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: გიორგი შავლიაშვილმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სამართლის ცოდნა. კანდიდატმა ვრცლად ისაუბრა სისხლის სამართლის ინკვიზიციური და შეჯიბრებითი პროცესის პრინციპებზე, მათ მნიშვნელობასა და მახასიათებლებზე, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ადგილსა და მასთან დაკავშირებით განხორციელებულ

საკანონმდებლო ცვლილებებზე, თაღლითობისა და მითვისების პრაქტიკაში ურთიერთგამიჯვნის პრობლემატურ ასპექტებზე და სხვ.

კანდიდატმა იმსჯელა სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებზე, ხაზგასმით აღნიშნა სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა, ზოგ შემთხევვაში მსჯელობა არ იყო სრულყოფილი (მაგალითად, რეკეტსა და გამოძალვასთან მიმართებით).

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული განაჩენები, რომელთა გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს. ამასთან, საჯარო მოსმენის პროცესიდან ირკვევა, რომ კანდიდატი ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებსა და სასამართლო პრაქტიკას.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ განაჩენებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მისი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, გიორგი შავლიაშვილის მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტი ყოველთვის გამართულია, რადგანაც ის მკაფიო და დასაბუთებულ სამართლებრივ დასკვნებს ეყრდნობა.

საჯარო მოსმენის დროს გიორგი შავლიაშვილმა იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე. მაგალითად, კანდიდატი შეეხო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის საკითხს. მას მიაჩნია, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინტიტუტის დამკვიდრების შესახებ გადაწყვეტილების მიღება გამართლებული და სწორია, რამდენადაც აღნიშნული ინსტიტუტი სჭირდება არა მხოლოდ სასამართლო სისტემას, არამედ ზოგადად სახელმწიფოსა და საზოგადოებას, რადგან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის აქტიურ გამოყენებას შეუძლია აამაღლოს საზოგადოებრივი მართლშეგნებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დონე. კანდიდატმა იმსჯელა ამ ინსტიტუტთან დაკავშირებულ რისკებზეც. კანდიდატმა ისაუბრა სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მისაღებ გარემოებებზე, იმსჯელა სახელმწიფოს მიერ მაწანწალობის აკრძალვის საკითხზე ევროპული კონვენციის მეხუთე მუხლთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა ძირითადად, უპასუხა შეკითხვებს, გამოვლინდა ნაკლოვანებებიც, მაგალითად, მსჯელობა ჟურნალისტის მიერ წყაროს მითითებასთან დაკავშირებით არ იყო დამაკმაყოფილებელი, კანდიდატი მსჯელობისას არ უთითებდა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

წერის უნარი: გიორგი შავლიაშვილმა წარმოადგინა 5 სამართლებრივი ნაშრომი, მათ შორის 3 განაჩენი და 2 განსხვავებული აზრი. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტს არ ტვირთავს არამიზნობრივი და შაბლონური მსჯელობით. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატს აქვს იურიდიული მართლწერისა და საკითხის აკადემიურად გადმოცემის კარგი უნარი.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციისა და გამართულად მეტყველების, განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოცემს ნათლად და ლოგიკურად. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ გიორგი შავლიაშვილს აქვს სწრაფი კონცენტრაციისა და სამართლებრივი პრობლემის გასაგებად ჩამოყალიბებისა და გადმოცემის უნარი.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, გიორგი შავლიაშვილს, როგორც სისხლის სამართლის მიმართულებით მოღვაწე პროფესიონალს, უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება აქვს, რაც მას აძლევს საქმის ყველა დეტალისა და პრობლემის დროულად აღმოჩენის, გააზრების, შეფასებისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ამასთან, მას შეუძლია იყოს მაქსიმალურად ორგანიზებული და მობილიზებული ექსტრემალურ პირობებში, რასაც ადასტურებს გასულ წლებში მის მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით კანდიდატის წარმოებაში არსებულ საკასაციო საჩივართა რაოდენობამ შეადგინა 947, საიდანაც 825 ცნობილ იქნა დაუშვებლად, 11 დატოვებული იქნა განუხილველად, 19 დატოვებული იქნა უცვლელად, 14 გაუქმდა, 76 შეიცვალა, 1 შეწყდა, ხოლო 1 დაბრუნდა ხელახლა განსახილველად. გარდა აღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ წარმოებაში მიიღო 80 სხვა კატეგორიის საჩივარი, აგრეთვე განიხილა 114 საჩივარი ახლად გამოვლენილ

გარემოებათა გამო. თუ მოხდება მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დღეების მისადაგება მის მიერ დასრულებულ ყველა კატეგორიის საქმეზე, მოსამართლეს 953 დღეში დასრულებული აქვს 1141 საქმე, დღეში საშუალოდ 1,2 საქმე. გიორგი შავლიაშვილის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვის მაჩვენებელი 96.5%-ს, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 61.2%-ს აღწევს.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ 15-ზე მეტ ღონისძიებაში, მათ შორისაა სემინარები და ტრენინგები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. გიორგი შავლიაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებულ არაერთ საერთაშორისო კონფერენციაში, მათ შორის ესენია: ,,კონსტიტუცია და სახელმწიფოს მოდერნიზაცია" – 2017 წ. ასტანა, ყაზახეთი; „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სასამართლოს თავმჯდომარეთა მე-8 კონფერენცია“ – 2018 წ. ვილნიუსი, ლიეტუვა; ,,უმაღლეს სასამართლოთა განსაკუთრებული როლი ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში" – 2019 წ. ტაშკენტი, უზბეკეთი; საერთაშორისო კონფერენცია ნარკოტიკების მოხმარებისთვის სისხლის სამართლებრივი სანქციების გაუქმების შესახებ - ევროკავშირი, 2019 წ. ოდესა, უკრაინა; ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სასამართლოს თავმჯდომარეთა მე-9 კონფერენცია - 2019 წ. ბრატისლავა, სლოვაკეთი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი შავლიაშვილი ეწევა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. კერძოდ, კანდიდატი 2011 წლიდან არის ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი (კურსები: პრაქტიკული კურსი სისხლის სამართლის პროცესში; საკასაციო განხილვის თავისებურებანი სისხლის სამართალში). კანდიდატი 2015-2016 წლებში იყო გ.თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი (კურსი - სასამართლო პროცესის ორგანიზაცია). გიორგი შავლიაშვილი 2015-2018 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოწვეული ლექტორი (თემები: ტრეფიკინგი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები (სისხლის სამართალი)). 2019 წელს, კანდიდატი იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოწვეული ტრენერი (თემები: ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები (სისხლის სამართალი)).

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 90 ქულით, კერძოდ:
   2.1.სამართლის ნორმების ცოდნა - 18 ქულა;
   2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია -17 ქულა;
   2.3.წერის უნარი -18 ქულა:
   2.4.ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 14 ქულა;
   2.5.პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 14 ქულა;
   2.6.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 4 ქულა;
   2.7.პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი შავლიაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	93	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი
თარიღი: 27.05.2021 წ.

გიორგი შავლიაშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული და თავშეკავებული. ის შესაბამისი პასუხისმგებლობით ეკიდება სამსახურეობრივ თუ სხვა მოვალეობებს, მათ შორის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა ვალდებულებებს. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, ამასთან, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატს ადმინისტრაციული ჯარიმები გადახდილი აქვს დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. ის არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული**	**მაქსიმალური**	

	ქულა	ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20	კანდიდატი კარგად ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, მას გააჩნია კარგი ცოდნის დონე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში. კანდიდატი იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას სხვადასხვა სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატს აქვს საკმაოდ ხანგრძლივი პროფესიული, კერძოდ, სამოსამართლო გამოცდილება. მას აქვს კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის სამართლებრივად სათანადოდ დასაბუთებული, დამაჯერებელი და გასაგები.
წერის უნარი	20	20	კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ნათლად, გასაგებად და დასაბუთებულად. განაჩენში ფაქტობრივი გარემოებების აღწერის, მხარეთა და მოწმეთა პოზიციების გადმოცემის და განაჩენის დასაბუთებისას აზრს გადმოსცემს თანმიმდევრულად და გარკვევით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს დამაჯერებლად. მას გააჩნია საკმაოდ გამართული მეტყველების უნარი, ამასთან ის საუბრობს თავდაჯერებულად, კორექტულად, თანმიმდევრულად და დამაჯერებლად. გასაუბრებით გამოწვეული მღელვარება კანდიდატის საუბარში არ იგრძნობოდა. მას გააჩნია განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატი არის პუნქტუალური. ის სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს. ამასთან, მას შესწევს დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მისი განვლილი სამოსამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მას გააჩნია სტრესულ

			სიტუაციაში მუშაობის უნარი და არის საკმაოდ პროდუქტიული. მის პროდუქტიულობასა დ სისწრაფეზე მეტყველებს კანდიდატის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაღალი მაჩვენებელი (96,4%, 3,6%).
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	კანდიდატს გააჩნია თვითგანვითარების უნარი და ის ღია არის სიახლეების მიმართ. ის პერიოდულად ეცნობა სიახლეებს როგორც საკანონმდებლო, ისე პრეცედენტული სამართლის კუთხით. ამასთან, ის აქტიურად ესწრება სხვადასხვა პროფესიულ შეხვედრასა და ტრენინგს როგორც ადგილობრივს, ისე საერთაშორისოს.
პროფესიული აქტივობა	4	5	კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, თუმცა ის ეწევა აკადემიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. ასევე, კანდიდატი იყო მოწვეული ტრენერი ადვოკატთა ასოციაციაში. როგორც უკვე აღინიშნა კანდიდატი აქტიურად ესწრება პროფესიულ შეხვედრებს.
ქულათა ჯამი	**93**	**100**	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, გიორგი შავლიაშვილის, შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ		

	საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის შედეგად დადგინდა, რომ გიორგი შავლიაშვილს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, ამასთან, მას არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. კანდიდატი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. კანდიდატს მისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული სამართალდარვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები გადახდილი აქვს დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. შესაბამისად, კანდიდატი სათანადო პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერებით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ანდა მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა ან ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, გიორგი შავლიაშვილი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** კანდიდატს სათანდოდ აქვს გააზრებული მისი როგორც მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა, ის შესაბამისად იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.

	გასაუბრების შედეგად კანდიდატმა გამოავლინა თავშეკავებულობა და კორექტულობა. ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ღიად და გამჭვირვალედ. საქართველოს გენერალური პროკურატურისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით კანდიდატის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება არ ფიქსირდება, ამასთან, ის არ წარმოდგენილა მხარედ ან დაზარალებულად. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატს აქვს კარგი პიროვნული და საქმიანი რეპუტაცია კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად. ისინი ხაზს უსვამენ კანდიდატის სამართლიანობას, პატიოსნებას, თავმდაბლობას, პრინციპულობას, მაღალ პროფესიონალიზმს, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას და ა.შ.. თუმცა, ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ სასურველი იქნებოდა კანდიდატს მეტი ემუშავა აკადემიურ-სამეცნიერო სიღრმის კვლევის კუთხით, რასაც ვეთანხმები. კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, მიუხედვად იმისა, რომ მას აქვს საკმაო პროფესიული გამოცდილება და ცოდნა თავის სპეციალიზაციაში, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია და მიზანშეწონილი შესაბამისი სამართლებრივი კვლევებისა თუ ნაშრომების შედგენა. **<u>ფინანსური ვალდებულება</u>** როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. რაც, თავის მხრივ გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საფრთხის შექმნის ეჭვს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, შავლიაშვილი გიორგი <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> **<u>კომპეტენტურობის კრიტერიუმების</u>** მახასიათებლებით გიორგი შავლიაშვილის

შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *სამართლის ნორმების ცოდნა;*
- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
- *წერის უნარი;*
- *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
- *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
- *პროფესიული აქტივობა.*

<u>სამართლის ნორმების ცოდნა</u>

კანდიდატთან გასაუბრების შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ის კარგად ფლობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. გასაუბრების მიმდინარეობისას სისხლის სამართლის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს კანდიდატი განიხილავდა ვრცლად, არგუმენტირებულად და დამაჯერებლად. ამასთან, ცდილობდა თავისი სამოსამართლო გამოცდილების კუთხით მსჯელობას.

მიუხედავად სისხლის სამართლის სფეროში კანდიდატის კარგი ცოდნის დონისა, გასაუბრების მსვლელობისას მან სათანადოდ ვერ განავითარა მსჯელობა მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ისეთი გამომრიცხავი გარემოებების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, როგორიცაა მართლზომიერი და საპატიებელი რისკები.

კანდიდატს აქვს კარგი ცოდნის დონე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში. გასაუბრების მსვლელობისას მან საკმაოდ განვრცობილად და დასაბუთებულად ისაუბრა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გასაუბრების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ კანდიდატი ეცნობა საქართველოს, აშშ-სა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. გარკვეული სამართლებრივ პრობლემასა და საკითხზე მსჯელობისას მან მოიხმო ზემოაღნიშნული სასამართლოების შესაბამისი პრაქტიკა.

საბოლოო ჯამში, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას მან დამაკმაყოფილებლად და სრულად ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის დაახლოებით 89%.

<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების (განაჩენები, განსხვავებული აზრი) შესწავლის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი თავის პოზიციას სათანადოდ ასაბუთებს, რაც მას სძენს დამაჯერებლობას. ამასთან, კანდიდატი რელევანტურად იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ განაჩენების სტრუქტურა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად არის ჩამოყალიბებული და ფორმალურად აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.

განაჩენებში კანდიდატის მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების, მოყვანილი არგუმენტებისა და ნორმების ლოგიკური განმარტებების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი.

კანდიდატს აქვს დაახლოებით 25-წლიანი სამოსამართლო გამოცდილება, რომელიც მოიცავს 15-წლიან სამოსამართლო გამოცდილებას. კანდიდატს აქვს თავისი გამოცდილების შესაბამისი კომპეტენცია.

<u>წერის უნარი</u>

თავის მოსაზრებებს კანდიდატი აფიქსირებს ნათლად, თანმიმდევრულად, ამასთან მარტივი და გასაგები ენით. განაჩენში ფაქტობრივი გარემოებების აღწერის, მხარეთა და მოწმეთა პოზიციების გადმოცემის და განაჩენის დასაბუთებისას აზრს გადმოსცემს თანმიმდევრულად და გარკვევით. მას აქვს ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის კარგი უნარი.

<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ღიად, გამჭვირვალედ და დამაჯერებლად. მას გააჩნია საკმაოდ გამართული მეტყველების უნარი, ამასთან, ის საუბრობს თავდაჯერებულად, კორექტულად, თანმიმდევრულად და დამაჯერებლად. მას გააჩნია განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი.

<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში.</u>

კანდიდატი არის პუნქტუალური. ის სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს. ამასთან, მას შესწევს დამოუკიდებლად აზროვნებისა და

	გადაწყვეტილების მიღების უნარი. მისი განვლილი სამოსამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ის არის საკმაოდ პროდუქტიული და სწრაფი, აღნიშნულზე მეტყველებს კანდიდატის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის მაღალი მაჩვენებელი. კანდიდატს გააჩნია სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** კანდიდატი აქტიურად ესწრება ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ შეხვედრებს გამოცდილების მიღებისა და გაზიარების მიზნით. მას აქვს თვითგანვითარების უნარი და ღია არის სიახლეების მიმართ. გასაუბრების მიმდინარეობისას მან გამოავლინა, რომ ეცნობა სიახლეებს, როგორც საკანონმდებლო, ისე ეროვნული თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის კუთხით. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** ამჟამად, კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ის ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას გ. თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში, ამასთან, იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოწვეული ლექტორი და ადვოკატთა ასოციაციის მოწვეული ტრენერი. კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, შესაბამისად, მას არ აქვს სამეცნიერო თუ სხვა სახის პუბლიკაციები. კანდიდატი ესწრება პროფესიულ შეხვედრებს, მათ შორის სხვადასხვა სახის საერთაშორისო და ადგილობრივ დისკუსიებსა და ტრენინგებს.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.